განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთოებების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

16-17 სექტემბერი 2021

31 ოქტომბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული #12 01/02 2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი მანველიძე, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, ასოცირებული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანმა სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია პირველად 2012 წელს მოიპოვა და მას შემდეგ წარმატებით ფუნქციონირებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნებიდან გამომდინარე იკვეტება, რომ ის მოაზრებულია, როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც დარგში წარმატებული საქმიანობის, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების თვალსაზრისით.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგნელებთან და პროგრამის ხელმძღვანელბთან გასაუბრებით დადგინდა საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა დღეს არის მოქმედი საგანამანთლებლო პროგრამა, რომელსაც აკრედიტაციის ვადა ეწურება 2021 წლის 31 დეკემებერს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანამნთლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით მოემზადებინა საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგსიტრო პროგრამა გეგმიური აკრედიტაციისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და გასუბრებით დადგინდა რომ აკრედიტაციის მოპოვებიდან ანუ 2012 წლიდან მოყოლებული პროგრამამ განიცდიდა ცვლილებებს, რომლებმაც უზრუნველყო მისი შესაბამისობა დარგის განვითარების თანამედროვე მოცემულობასა და დარგში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკასთან. განხორციელებული ცვლილებების დეტალური აღწერის დოკუმენტის ანალიზიდან ჩანს რომ ცვლილებების შედეგად პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთა საშუალებითაც დაიფარა დარგის ფარგლებში განსახილველი მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე, შემცირდა სასწავლო კურსების კრედიტული მოცულობა; კვლევის მეთოდების შემსწავლელი ერთსემესტრიანი სასწავლო კურსი გაიყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შემსწავლელ ორ შესაბამის სასწავლო კურსად; სავალდებულო სასწავლო კურსი გახდა მანამდე არჩევითი სასწავლო კურსის სტატუსის მქონე კურსი, თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკა. სასწავლო კრუსების კრედიტული მოცულობის შემცირების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა მეტი სასწავლო კურსის შეთავაზება ყოველსემესტრულად, შესაბამისად, სტუდენტებს გაუჩნდათ მეტი არჩევითი სასწავლო კურსის გავლის და თავიანთი ინტერესების შესაბამისად ცოდნის გაფართოვების შესაძლებლობა. ასევე, პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში, პერიოდულად განახლდა სასწავლო კურსების თემატიკა, ლიტერატურა და სწავლისა და სწავლების მეთოდები, მოდიფიცირდა დასახელებები. ასევე, პროგრამის ფუნქციონირების მანძილზე, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო რამდენიმე ახალი აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

საერთაშორისო ურთიერთობების განახლებული ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მიზნებისათვის წარდგენილია შემდეგი ფორმით: სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 58 კრედიტი; სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 32 კრედიტი (აქედან, 8 კრედიტის ათვისება, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფალი კრედიტის სახით); კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით - 30 კრედიტი. საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი. პროგრამაში ჩართული პერსონალის 13 (მათ შორის 8 აკადემიური და 5 მოწვეული პერსონალი).

აღსანიშნავია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად პროგრამის მოდიფიცირება და განახლება ხდებოდა მისი ხელმძღვანელების, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანმა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები მის განვითარებაში ჩართული არიან არამხოლოდ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, არამედ სასწავლო პროცესის განმავლობაში. პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის განახლების პროცესის განმავლობაში ასევე ხაზგასასმელია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 16-17 სექტემბრს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან:

- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი
- პროგრამის ხელმძღვანელი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
- პროგრამის სტუდენტები
- პროგრამის კურსდამთავრებულები
- დამსაქმებლები.

გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანმა სამაგისტრო პროგრამის ფუნქციონირებას.

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 18.00 საათამდე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთოებების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა **მეტწილად შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა **შესაბამისობაშია** სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1, ქვესტანდარტი 1.2.

1. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა და გაცნობიერების ნაწილის გამდიდრება და სასწავლო კურსებში შესაბამის ნაწილთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა

2. რეკომენდირებულია, პროგრამის მესამე სწავლის შედეგის - ,,განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების

თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს", შინაარსობრივი რეფორმულირება მისი შემდგომი მკაფიოობისა და გაზომვის უზრუნველსაყოფად.

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.2

3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი - გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში, გადავიდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები - პრაქტიკული უნარების განვითარება რეალურად იქნეს მიღწეულ სტუდენტისთვის.

4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი **International Security** გახდეს სავალდებულო ხასიათის და გათვალისწინებული იქნეს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის War and Peace in International Relations

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.3

5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Comparative Governance and Politics შეიცვალოს თეორიისა და შემთხვევის ანალიზის ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობა; თეორიული ნაწილი შესაბამისობაში მოვიდეს შედარებითი პოლიტიკის კონცეფიასთან, სილაბუსის სწავლის შედეგებთან და სამაგისტრო სწავლების საფეხურთან;

6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Contemporary International Law შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან, მათ შორის სასწავლო ლიტერატურის გამდიდრების გზით

7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Decision-Making in International Relations გამდიდრეს სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის დამატებითი საკითხავი მასალის სავალდებულო ნაწილში გადმოტანით ან/და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მითითებით;

8. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში International Security სილაბუსი მოიცავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც მულტიდისციპლინური დარგის შესავალი და უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტები.

9. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში - ,,სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია"- ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", ,,საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი", ,,მსოფლიო პოლიტიკა: პროცესები და ტენდენციები", ,,საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი" - სწავლის შედეგების (ცოდა და გაცნობიერების ნაწილიში) რეფორმულირება მათი მკაფიოობისა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;

აღნიშნული რეკომენდაციების აღმოფხვრა შესაძლებელია ექვსი თვიდან ერთი წლის შუალედში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სასწავლო კურსში Theory of International Relations შეიცვალოს თეორიული სახელმძღვანელო Burchill, Scott, Andrew Linklater, Richard Devetak et. al. Theories of International Relations, 5th edition. New York: Pelgrave, 2013, რაც უფრო საბაკალავრო დონის სახელმძღვანელოდ მიიჩნევა

სასურველია პერიოდულად მოეწყოს სამომავლოდ უცხოელი პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების ონლაინ-ვიზიტები, რათა ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით სტუდენტები გაეცნონ დარგის თეორიულ და პრაქტიკულ სიახლეები. ეს თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას ჩაერთონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესებში.

სასურველია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის წარმომადგენლების მიერ, რაც ინტერნაციონალიზაციის კუთხით პროგრამის საქმიანობის გაძლიერების პროცესში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

საასურველია საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის სამეცნიერო სიახლეების გაზიარება-გაცნობის მიზნით, გააქტიურდეს პროგრამის სასწავლო-კვლევით საქმიანობაში უცხოელი მეცნიერების ჩართვა რეგულარულ საწყისებზე.

სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთირთობები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სტუდენტების ხელშეწყობა საერთაშორისო სტაჟირებებზე, საერთაშოროსო საუკეთესო პრაქტიკის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მოსაზრებები უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

სტანდარტი 1.2. ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს რეკომენდაცია გაცემული რომ აუცილებელია სწავლის შედეგების დაჯგუფება მოხდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტების მიხედვით. არამედ რეკომენდაცია ხაზს უსვამს რომ ,, რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა და გაცნობიერების ნაწილის გამდიდრება და სასწავლო კურსებში შესაბამის ნაწილთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა“. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით ,,პროგრამაში წარმოდგენილი ცხრა სწავლის შედეგი კომბინირებულად ასახავს თითოეული მიმართულებით გამომუშავებული ცოდნის და კომპეტენციების დიაპაზონს (გვ. 1). ან კიდევ სწავლის შედეგების წარმოდგენილი, კომბინირებული სახით ფორმულირებისას, ვიხელმძღვანელეთ პრინციპით, რომ თითოეული მიმართულებით, იქნებოდა ეს დარგის თეორიული საფუძვლები, ისტორია, თანამედროვე პროცესი თუ კვლევითი კომპეტენციები, გვეჩვენებინა ცოდნის საფუძველზე, რა კონკრეტული შესაძლებლობები გააჩნია კურსდამთავრებულს (გვ. 1-2). ,,ცოდნა-გაცნობიერება, როგორც სწავლის შედეგი პროგრამაში წარმოდგენილ ცხრავე შედეგშია წარმოჩენილი“. უფრო მეტიც დაწესებულების პოზიციაში რიტაც გამართლებულია მათი პოზიცია ასევე აღნიშნავენ რომ ,,ბოლოს, კრიტიკული ანალიზის კომპეტენციაზე საუბარია თავად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანართ 1-ში. კერძოდ, სამაგისტრო საფეხურის (მე-7 დონე) ცოდნა და გაცნობიერება შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.“ ჩვენი თვალსაზრისით, **კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს კრიტიკული გააზრების სინონიმს.** შესაბამისად, არ ვთვლით რომ წარმოადგენს ხარვეზს და შეუსაბამოა ცოდნისა და გაცნობიერების შედეგთან (გვ. 13). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ **კრიტიკული ანალიზი არ წარმოადგენს კრიტიკული გააზრების სინონიმს აქედან გამომდინარე მაშინ აუცილებელი გახდება სწავლების შედეგების რეფორმულირება,** ვინაიდან პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების კომბინირებული ხასიათი ართულებს მათ რეალურ აღქმას და მით უფრო გაზომვადობას, ექსპერტა ჯგუფი მიიჩნევს იმდენად რამდენადაც პროგრამის სწავლის შეფასებაში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების ერთობლიობა, ხოლო ეს უკანასკნელი ითვალისიწინებს დამსაქმებელების, კურსდამთთავრებულების და ა.შ. ჩართულობასაც, მათვის ვერ იქნება მკაფიო და აღქმადი სწავლების შედეგების შინაროსობრივი მახსიათთბელები, შესაბამისად გაჭირდება მათი მოდიფიცირების შემთხვევაში აქცენტი ცოდნა-გაცნობიერების მიმრთულებით თუ უნარების გაძლიერების მიმართულებით უნდა გახდეს. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ საჭიროა სწავლის შედეგების რეფორმულირება რომ ისიმი მკაფიოდ გაზომვადი, და საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესების მიმართულებით ცვლილებების განხორციელება რელევანტური იყოს. ამ კუთხით დაწესებულებას არ წარმოუდგენია რაიმე მყარი არგუმენტი გარდა

იმისა რომ დაწესებულების პოზიცია ,,ვფიქრობთ, პროგრამის სწავლის შედეგების ისეთი ფორმულირება, როდესაც მიღებულ ცოდნასთან ერთად, ჩანს თუ რაში გამოიხატება და რა ტიპის კომპეტენციებს უკავშირდება აღნიშნული ცოდნის გამოყენება, აადვილებს და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების საშუალებით“ (გვ. 30). უფრო მეტიც დაწესებულება ხაზს უსავმს რომ ,,ცოდნა-გაცნობიერება, როგორც სწავლის შედეგი პროგრამაში წარმოდგენილ ცხრავე შედეგშია წარმოჩენილი“(გვ.4). და ,,სწავლის ცხრავე შედეგი კომბინირებულად ასახავს თითოეული მიმართულებით გამომუშავებული ცოდნისა და კომპეტენციების დიაპაზონი“ (გვ. 1)

სტანდარტი 1.2 მიგვაჩნია რომ მსოფლიო წესრიგის და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ჩამოყალიბების ერთიანი კონტექსტუალური წარმოჩენა და შეფასება უკვე გაუგებარს გახდის მისი როგორც პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების რელევანტურობას. იმიტომ რომ მათ სრულიად განსხვავებული შინაარსობრივი და მიზნობრივი დატვირთვა გააჩნიათ. მსოფლიო წესრიგის რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დარგის ერთ ერთი ასპექტია მართი ერთიან კონტექსტში წარმოჩენა უკვე გაუგებრობაა. მით უფრო რომ სწავლის ამგვარი შედეგის განსაზღვრება უფრო საბაკალავრო საფეხურს შეესაბამება.

სტანდარტი 2. ქვესტანდარტი 2.2. დაწესებულება თვითშეფასების დოკუმენტში სტანდარტი 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება თავად უსავსმს ხაზს რომ ,,გარდა ამისა, განახლებული პროგრამის არჩევით კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსი, გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინციდენტებისას გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დემონსტრირებას, ასევე, სიმულაციების მოწყობით განუვითაროს სტუდენტებს პრაქტიკული და ანალიტიკური უნარები“. სასწავლო კურსის არჩევითი სტატუსი უკვე გამორიცხავს რომ თვითშეფასების დოკუმენტში პრაქტიკული უნარების განმავითარებლად არჩევითი სასწავლო კურსის მითითება რამდენად რელევანტურია. თუ აღნიშნული სასავლო კურსი არ არის ასეთი მნიშვნელოვანი, დაწესებულება თავად რატომ ხაზგასმით მიუთითებს თვითშეფასების დოკუმენტში?

ყველა დანარჩენ რეკომენდაციაზე ესპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია მათი სათანადო დასაბუთების არარსებობის გამო.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის და ინგლისურენოვანი საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზნების მიხედვით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომელიც მას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პროფესიული ფუნქციონირების/კარიერული წინსვლის და/ან მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს. ამავე დროს, პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენაა ის მიმართული, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნებში მკაფიოდ ჩანს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში რა კონკრეტული სიღრმისეული ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. შესაბამისად პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც დარგში წარმატებული საქმიანობის, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზის დოკუმენტების შესწავლამ გამოავლინა, რომ ბაზრის შესწავლა და დამსაქმებელთა მოთხოვნის წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო დონის პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას. კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის განვითარების მიზნით შესრულებულ შრომის ბაზრის ანალიზი, მოიაზრებს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების შესაძლებლობებისა და მათ წინაშე პოტენციური დამსაქმებლების მიერ წაყენებული მოთხოვნების კვლევას. კვლევისას შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი განხორციელდა სამი მიმართულებით. პირველ, განხორციელდა საქართველოში ყველაზე გავრცელებული დასაქმების ვებგვერდებიდან შეგროვებული მონაცემების ანალიზი - მოძიებულ იქნა ინფორმაცია დარგში არსებული ვაკანსიებისა და შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების თაობაზე. მეორე, ანალიზი ეფუძნება 2019 წლის 10 იანვარს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (GIPA), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, კავკასიის უნივერსიტეტს და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებულ საქართველოს შრომის ბაზრის ერთობლივ კვლევას. მესამე, დარგის სპეციალისტებთან მიმართებით არსებული მოთხოვნების გაცნობისთვის დაწესებულებამ კვლევისას გამოიყენა დამსაქმებლების მიერ შევსებული პროგრამის შეფასების კითხვარის შედეგები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის, კურსდამთავრებულთა დეპარტამენტის მიერ შეგროვებული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების ამსახველი რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის

კურსდამთავრებულების 86% დასაქმებულია.გასაუბრებამ აჩვენა, რომ რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა გაზიარებულია აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებელისა და კურსდამთავრებულების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუს შედეგები; უნივერსიტეტის მისია; შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი; დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; პროგრამა/კურიკულუმი; შზსუ-ს ვებგვერდი - https://ibsu.edu.ge.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი ძირითადად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსს თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში. პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა ცხრა შედეგი, რომლებიც თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს და ის ასახავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგბელობას და ავტონომიურობას, თუმცა მათი დაჯგუფება არ არის მოცემული ეროვნული საკვალიფიკაცო ჩარჩოს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: 1. ახდენს თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ინტერპრეტირებას დარგის ონტოლოგიურ,

ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით და **შეუძლია ფილოსოფიური პარადიგმებისა და კონცეპტების საკუთარ კვლევით პროექტში გამოყენება;**

2. **კრიტიკულად აანალიზებს** საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის როგორც კლასიკურ სკოლებს, ასევე თანამედროვე ტენდენციებსა და პარადიგმებს; **შეუძლია თეორიული სკოლების კლასიფიკაცია** და მათი შეფასება როგორც სამეცნიერო დისკურსში პოზიციონირების (ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით გამოკვეთილი პოზიციების თვალსაზრისით), ასევე, თეორიების მიერ არგუმენტირებული აქტორების ქცევის დეტერმინანტების თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობებში; შეუძლია შექმნას თეორიული ჩარჩო საკუთარი კვლევითი პროექტისთვის და მოახდინოს ემპირიული მონაცემების ინტერპრეტირება შესამაბისი თეორიული არგუმენტების საშუალებით;

3. **კრიტიკულად აანალიზებს** საკვანძო მოვლენებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში და ახდენს მათ კონტექსტუალიზაციას; **განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს;**

4. **კრიტიკულად აანალიზებს** თანამედროვე მსოფლიო წესრიგს; ავლენს დარგის ამომწურავ, არსებით და პრაქტიკულ ცოდნას (comprehensive, substantive and practical knowledge) საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების, თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების შეფასებისას;

5. **კრიტიკულად აანალიზებს** ომისა და მშვიდობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, აანალიზებს სახელმწიფოთაშორის და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს; განსაზღვრავს საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს; თეორიულ და პრაქტიკულ (შემთხვევის ანალიზის) დონეზე განასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს; იკვლევს ომთან დაკავშირებული საკითხების ნორმატიულ წინააღმდეგობებს;

6. შეუძლია, აკადემიური და ეთიკის სტანდარტების დაცვით, განახორციელოს კვლევა დარგის თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში დაწინაურებული უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; განსაზღვრავს საკუთარი კვლევის ანალიტიკურ ჩარჩოსა და მეთოდოლოგიას; თავისუფლად იყენებს კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, ფლობს რა მათი შერჩევის სტრატეგიებსა და მონაცემთა ანალიზის ტექნიკებს; შეუძლია სათანადო თეორიული პერსპექტივიდან, კრიტიკულად გაანალიზოს თეორიული და ემპირიული მონაცემები, მოახდინოს მათი ინოვაციური სინთეზი და შეფასება და ჩამოაყალიბოს დასკვნები კვლევის შედეგებზე დაფუძნებით; შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს კვლევითი ნაშრომის ხარისხი ავტორის ფილოსოფიური პოზიციისა და ნაშრომში გამოყენებული ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით;

7. შეუძლია აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, იქონიოს პროფესიული კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებთან და პრაქტიკოსებთან, წარმოადგინოს კომპლექსური ინფორმაციის ორიგინალურ ანალიზს დაფუძნებული დასკვნები და მოსაზრებები დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების დროს; მოამზადოს და წარადგინოს კვლევითი პროექტი;

8. აანალიზებს მორალურ დილემებს, რომელსაც სოციალური მეცნიერებების მკვლევარი აწყდება საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს, ასევე, ეთიკური საკითხებისა და ზოგადად, ეთიკური კვლევების მნიშვნელობას და აყალიბებს საკუთარ ფასეულობებს დარგის თანამედროვე ნორმებისა და სტანდარტების ცოდნის საფუძველზე;

9. შეუძლია დაგეგმოს და დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა; მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არასაკმარისად შესწავლილი საკითხების იდენტიფიცირება და განსაზღვროს შემდგომი კვლევის საჭიროება; დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი კვლევითი ინტერესები.

პროგრამის სწავლის შედეგების შესწავლამ გამოავლინა რომ პროგრამის სწავლოს ცხრა შედეგიდან ცოდნა და გაცნობიერებაზე რეალურად პირველი შედეგი გადის და ისიც აღებულია მხოლოდ სასწავლო კურსის ,,სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია“ სწავლის შედეგიდან - ,,**ანალიზებს** მეცნიერების ზოგადად ბუნებას და განსაკუთრებით სოციალური მეცნიერებებს. - განმარტავს და ადარებს ერთმანეთს ძირითად ფილოსოფიურ სკოლებს ეპისტემოლოგიის, ონტოლოგიის, მეთოდოლოგიისა და ობიექტურობასთან დაკავშირებული საკითხების მიხედვით“, რაც რეალურად ვერ ასახავს პროგრამის საავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს ეროვნული საკვალიფიკაცო ჩარჩოს ძირითად განმსაზღვრელ ელემტთან-ცოდნასა და

გაცნობიერების კონტექსტში. აქედან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განზოგადება ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში და მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში მისი განზოგადებული სახით წარმოდგენა.

პროგრამის სწავლის შედეგებში შეინიშნება კონტექსტაულური და შინაარსობრივი აღქმის სირთულე, რაც მის გაზომვადოვასაც გაართულებს. მაგალითად პროგრამის სწავლის მესამე შედეგში ,,განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს;", აუცილებლი სწავლის შედეგის ეს ნაწილი შინაარსობრივად და კონტქსტუალურად გასწორდეს.

თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. კერძოდ, პროგრამის შედეგების გაუმჯობესება ხდება აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებელის, პროგრამის კურსდამთავრებულების და სტუდენტების კვლევისა და მათ მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე. როგორც გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პერსონალმა აღნიშნა, სწორედ ურთიერთთანამშრომლობით შემუშვდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია შზსუ-ს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელიებისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, წინასწარ დადგენილ ვადებში დადგენილი მეთოდოლოგიით. პროგრამის შედეგების მიღწევის, ასევე შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაში, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, მონაწილეობს აკადემიური პერსონალიც. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტიდან ჩანს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება მოხდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. არაპირდაპირი შეფასების მეთოდი მოიაზრებს დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვას, კურიკულუმის ანალიზსა და შედარებას ანალოგიურ პროგრამებთან და სხვა. კითხვარების თავმოყრა და ანალიზი განხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, რომლებიც მოახდენენ რეაგირებას პრობლემულ საკითხებზე ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში. პროგრამის შედეგების მიღწევის, ასევე შინაარსობრივი მხარისა და შეფასების მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაში, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, მონაწილეობს აკადემიური პერსონალიც პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას და მიღწეული შედეგების ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება შემდეგი სახის შეფასების ფორმები: პრეზენტაცია, ესსე, პროექტი (ამ შემთხვევაში, დამოუკიდებლად მოსამზადებელი დავალება, რომელიც მოიაზრებს კვლევის განხორციელებას) და სამაგისტრო ნაშრომი. პირდაპირი შეფასების განხორციელებისათვის, პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სასწავლო კომპონენტები.

მრეგულირებლ დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შეფასებისთვის შერჩეულ სასწავლო კომპონენტებში გამოყოფილია სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის შერჩეული შეფასების კომპონენტები. მასში ასეევ განსაზღვრულია რომელ შეფასების კომპონენტ(ებ)ზე განხორციელდება დაკვირვება სწავლის შედეგების შეფასებისათვის შერჩეული თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში; ასევე პროგრამიით განსაზღვრული რომელი სწავლის შედეგები შეფასდება თითოეული შეფასების კომპონენტის საშუალებით. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა იზომება, განსაზღრული შემდეგი სამიზნე ნიშნულებით:1. სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, დადებით მაჩვენებლად მიიჩნევა, თუ შესაბამის შეფასების კომპონენტებში სტუდენტების 60% ხვდება მაქსიმალური შეფასების 70%-100% ზღვრებში. ანალოგიურად, უარყოფით მაჩვენებლად ითვლება ნებისმიერი განსხვავებული შედეგი; 2. სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, უარყოფით მაჩვენებლად მიიჩნევა, თუ სტუდენტების 40%-ზე მეტი მიიღებს არადამაკმაყოფილებელ (51%-ზე ნაკლები) შეფასებას; 3. სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, უარყოფით მაჩვენებლად მიიჩნევა, თუ სტუდენტების 40%-ზე მეტი მიიღებს უმაღლეს (91-100%) შეფასებას. თითოეული სამიზნე ნიშნულიდან გადახვევის ნორმალური (მისაღები) დიაპაზონი 15%-ის ფარგლებშია. თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ხდება იმ შეფასების კომპონენტებში დაფიქსირებული მაჩვენებლების საშუალო

არითმეტიკულით, რომელთაც აქვთ ეს შედეგი საერთო.

როგორც უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტით ირკვევა პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილია პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. კერძოდ, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. პირველ ეტაპზე, მოხდება შედეგების ანალიზი, მათი სამიზნე ნიშნულებთან დადარება და სწავლის შედეგების მიღწევადობის ხარისხის გამორკვევა. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების შედეგად გამოვლენილია სუსტად მიღწევადი სწავლის შედეგები, მოხდება პროგრამის და/ან სასწავლო კომპონენტების ცვლილების ინიცირება სპეციფიური ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავების აქცენტირების მიზნით. შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მოხდება რეაგირება სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის ნორმალური დიაპაზონის დარღვევის შემთხვევაში. კერძოდ, განსაზღვრული სამიზნე ნიშნულებიდან სულ მცირე ორი ნიშნულის შემთხვევაში წინასწარ დადგენილ ნორმალურ დიაპაზონზე მეტი გადახრის დაფიქსირებისას, პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან მიმართებით, გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები. შეფასება ძირითად ხდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, მასწავლებლის, მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარი. როგორც მარეგულირებელი დოკუმენტებიდან ირკვევა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თავისი მოსაზრება დააფიქსიროს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. იგი მოიცავს კითხვებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობების საათების რაოდენობების და მათი შეფარდების, დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციისა და კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და სხვა საკითხების შესახებ. შეფასების განხორციელების პროცესში ანონიმურობა მაქსიმალურად არის დაცული, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავისუფლად და დამოუკიდებლად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები.

შეფასების შედეგად შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები სასწავლო კურს(ებ)ის შინაარსში, მის წინაპირობებში, სასწავლო კურსების თანმიმდევრობაში, შეიძლება დაემატოს ან ამოღებულ იქნას სასწავლო კურს(ებ)ი, ცვლილებები შევიდეს სტუდენტების საკონსულტაციო სერვისებში, პროგრამის სწავლის შედეგებში, შეფასების მექანიზმსა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საგანამანთლებლო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია

ინტერვიუს შედეგები

თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნა და გაცნობიერების ნაწილის გამდიდრება და სასწავლო კურსებში შესაბამის ნაწილთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

რეკომენდირებულია, პროგრამის მესამე სწავლის შედეგის - ,,განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს", შინაარსობრივი რეფორმულირება მისი შემდგომი მკაფიოობისა და გაზომვის უზრუნველსაყოფად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტის და საგანამანთლებლო პროგრამის შესწავლით, ასევე დაწესებულების წარმომადგენელბთან გასაუბრებით დადასტურდა რომ საერთაშორისო ურთერთობების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე). აქედან გამომდინარე პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, კერძოდ CEFR, TOEFL iBT, IELTS, YDS, Cambridge. გამოცდები ინგლისურ ენასა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად. საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). პროგრამაზე დაშვების პირობები განსაზრვრულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელიც განთავსებულია ბმულზე https://iro.ibsu.edu.ge/en/home

პროგრამა და შესაბამისად პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაციის გავრცელება აგრეთვე ხდება სოციალური ქსელის მეშვეობით და სატელეფონო და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ხდება დაინტერესებული კანდიდატების კონსულტაცია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; საგანმანათლებლო პროგრამა; ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან. https://iro.ibsu.edu.ge/en/home
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიის და ევროპული კრედიტების ტრანსფერების სისტემის შესაბამისად. თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შესწავლამ აჩვენა რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. თვიშეფასების ანგარიშის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები ერთიან კონტექსტში მოიაზრება. განსაკუთრებული ყურადღება მათ ლოგიკურ თავსებადობასა და თანმიმდევრობას ეთმობა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის სასწავლო გეგმით, ძირითადად განსაზღვულია პროგრამის კომპონენტებზე (სასწავლო კურსები, სამაგისტრო ნაშრომი) დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. ამდენად, საერთაშორისო ურთიერთოებების

ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (მაგისტრატურა) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი) შესაბამისობას. პროგრამის სტრუქტურა დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა და სასწავლო კურსების მოცულობა და შინაარსი, თითოეული სასწავლო კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა ხელს უწყობს პროგრამით დასახული სწავლის შდეგების მიღწევას.

როგორც თვითშეფასების დოკუმენტით ირკვევა განახლებული პროგრამის არჩევით კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსი, გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინციდენტებისას გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დემონსტრირებას, ასევე, სიმულაციების მოწყობით განუვითაროს სტუდენტებს პრაქტიკული და ანალიტიკური უნარები. თუმცა იმდენად რამდენადაც პროგრამის სავალდებულო კურსებიდან არცერთი არ უზრუნველყოფს მსგავსი უნარების განვითარებას, აღნიშნული სასწავლო კურსის სტატუსი რამდენად უზრუნველყოფს მტკიცედ მსგავსი უნარების განვითარებას რთული სათქმელია. ზოგადად პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობამ აჩვენა რომ პროგრამის სწავლის შედეგები არ გადის ისეთ კომპეტენციაზე როგორიც არის გადაწყვეტილების მიღების უნარი. ყველა ის შედეგი რომელიც სამაგისტრო დონეზე არის მოცემული საგანამანთლებლო პროგრამაში საჭიროებს გადაწყვეტილების მიღების უნარის ფლობას, მით უფრო რომ თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით ეს სასწავლო კურსი ახალი სასწავლო კურსი და დაემატა პროგრამას, აღსანიშნავია რომ სამაგისტრო დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარის ფლობა მნიშვნელოვანია, რადგან სხვა შემთხვევაში გაჭირდება კურსდამთავრებულის მიერ ყველა იმ კომპეტენციის გამოყენება სრულფასოვნად რომელსაც სამაგისტრო პროგრამა აძელვს სტუდენტს. აქედან გამომდინარე აუცილებელია ეს სასწავლო კურსის გადავიდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში რომ მსგავსი პრაქტიკული უნარების განვითრება მიღწეულ იქნეს.

ასევე, არჩევითი კურსის სილაბუსში ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხოების მხოლოდ რამდენიმე სამხედრო ასპექტზე. პროგრამას აქვს მსგავსი შინაარსის მეორე სასწავლო სავალდებულო კურსი War and Peace in International Relations. რეკომენდირებულია International Security სილაბუსს ჩაემატოს შესავალი თეორიული საკითხი, რომელიც ახსნის საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც მულტიდისციპლინური დარგის თეორიულ საფუძვლებს და შესწავლის პრობლემებს, ასევე დაემატოს საკითხები უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტების შესახებ. რეკომენდირებულია, აღნიშნული სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო ხასიათის და გათვალისწინებული იქნეს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის War and Peace in International Relations.

პროგრამის სტრუქტურის შესწავლამ და გასაუბრებამ აჩვენა რომ სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს:საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, პროგრამის სასწავლო გეგმით, განსაზღვულია პროგრამის სასწავლო კომპონენტებზე (სასწავლო კურსები, სამაგისტრო ნაშრომი) დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. იმ საგნების გასავლელად, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა სტუდენტი დაიშვება მხოლოდ პრერეკვიზიტად მითითებულ საგანში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია სასწავლო კურსი - გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში, გადავიდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები - პრაქტიკული უნარების განვითარება რეალურად იქნეს მიღწეულ სტუდენტისთვის. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი **International Security** გახდეს სავალდებულო ხასიათის და გათვალისწინებული იქნეს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის War and Peace in International Relations
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ჯგუფის ანგარიშის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისისტრო პროგრამის სასწავლო კურსები (სავალდებულო და არჩევითი) შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო სასწავალო კურსების შესწავლამ და წარმოდგენილმა კურიკულიუმის რუკამ აჩვენა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები ძირითადად უზრუნველყოფენ მითითებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტებისათვის უნარების მიმართულებით. საკუთრივ პროგრამის შედეგებში კონკრეტულად ჩანს თუ დარგის რა სიღმისეულ და სისტემური ცოდნის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად ასახავს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. კურუკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ, ისევე როგორც გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურსების საკრედიტო მოცულობამ ძირითადად უზრუნველყოფს თითოეული კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლება. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) ძირითადად შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მათი გადანაწილებისას მხედველობაში მიიღება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი დავალებების მოცულობა და სირთულე, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის მოცულობა. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა, ძირითადად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს, ხოლო სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მასში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა სასწავლო კურსების შესწავლამ მასში ასევე გამოავლინა ტექნიკური და შინარსობრივი ხარვეზები. შინაარსობრივ ხარვეზი მოიცავს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებას, ასევე სასწავლო კურსის შინარსის და ლიტერატურის ასპექტებს.

მაგალითად სასწავლო კურსები:

1. **Comparative Governance and Politics**

სასწავლო კურსის უდიდესი ნაწილი ეთმობა ისეთ საკითხებს, რაც უმეტესად მოიაზრება საბაკალავრო საფეხურის სილაბუსებში (პოლიტიკური სისტემები, საარჩევნო სისტემები, პარტიული სისტემები, სახელმწიფო ინსტიტუტები და სხ.) და მხოლოდ 3 კვირა ეთმობა კონკრეტული ქვეყნების შედარებით ჭრილში განხილვას. ასევე, სილაბუსის სწავლის შედეგებში ხაზგასმულია შედარებითი პოლიტიკის მეთოდების ცოდნა და გამოყენება, რაზეც არ არის გამახვილებული ყურადღება შინაარსში. რეკომენდირებულია, შეიცვალოს თეორიისა და შემთხვევის ანალიზის თანაფარდობა, სილაბუსის თეორიული ნაწილი გახდეს უფრო მეტად მორგებული შედარებითი პოლიტიკის თეორიულ კონცეფციასთან, სილაბუსის სწავლის შედეგებსა და სწავლების საფეხურთან. შესაბამისად, განახლდეს სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურა.

2. **Contemporary International Law**

სილაბუსის შინაარსის შესაბამისობა სილაბუსის სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან ბადებს შეკითხვებს. სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოთი. რეკომენდირებულია მოდიფიცირდეს სილაბუსის შინაარსი და გახდეს სილაბუსის სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან შესაბამისი, გამრავალფეროვნდეს სავალდებულო ლიტერატურა.

3. **Decision-Making in International Relations**

სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული მასალა და თემატიკასთან დაკავშირებული გვერდების რაოდენობა ტოვებს ეჭვს 8 ECTS სასწავლო კურსის (153 დამოუკიდებელი საათი) შესატყვისობასთან. რეკომენდირებულია, გამრავალფეროვნდეს სავალდებულო ლიტერატურა (მაგ. დაბატებითი ლიტერატურის ჩამონათვალიდან გადმოტანით ან ახალი დამოუკიდებელი შესაბამისი ლიტერატურის მითითებით და სამეცნიერო სტატიების გამოყენებით).

4. **International Security**

არჩევითი კურსის სილაბუსში ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხოების მხოლოდ რამდენიმე სამხედრო ასპექტზე. პროგრამას აქვს მსგავსი შინაარსის მეორე სასწავლო სავალდებულო კურსი War and Peace in International Relations. რეკომენდირებულია International Security სილაბუსს ჩაემატოს შესავალი თეორიული საკითხი, რომელიც ახსნის საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც მულტიდისციპლინური დარგის თეორიულ საფუძვლებს და შესწავლის პრობლემებს, ასევე დაემატოს საკითხები უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტების შესახებ. რეკომენდირებულია, აღნიშნული სასწავლო კურსი გახდეს სავალდებულო ხასიათის და გათვალისწინებული იქნეს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის War and Peace in International Relations.

5. **Theories of International Relations**

სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებულია წყაროები და სხვადასხვა სტატიები, რაც მისასალმებელია. თუმცა თეორიული ნაწილისთვის გამოყენებულია Burchill, Scott, Andrew Linklater, Richard Devetak et. al. Theories of International Relations, 5th edition. New York: Pelgrave, 2013, რაც უფრო საბაკალავრო დონის სახელმძღვანელოდ მიიჩნევა. სასურველია, იმ სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მაკვალიფიცირებელ საგნად უნდა ჩავთვალოთ, შეიცვალოს თეორიული სახელმძღვანელო.

ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ნაწილში აღრეული ცოდნა

და გაცნობიერების და უნარების განმსაზღვრელი შედეგები. მაგალითად: - სავალდებულო სასწავლო კურსში: ,,სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია"- ცოდნა და გაცნობიერება - ,,**აანალიზებს** მეცნიერების ზოგადად ბუნებას და განსაკუთრებით სოციალური მეცნიერებებს". სავალდებულო სასწავლო კურსში: ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია"- ცოდნა და გაცნობიერება - ,,- სტუდენტი **კრიტიკულად აანალიზებს** საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების, მიდგომებისა და პრინციპების არსს, მას **შეუძლია** თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ძირითადი დებატების შესახებ თეორიული **ჩარჩოს ჩამოყალიბება არგუმენტებითა და კრიტიკული მსჯელობით.** სტუდენტს ასევე უვითარდება უნარი შეიმუშაოს ახალი ორიგინალური იდეები"; -,,- სისტემური ცოდნის საფუძველზე, სტუდენტს შეუძლია თეორიული მიდგომების გამოყენება კვლევითი პროექტების ჩატარების პროცესში პრობლემების გადასაჭრელად." - სავალდებულო სასწავლო კურსში: ,,საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი"- ცოდნა და გაცნობიერება - ,, **ახსნას,** თუ რა გავლენა მოახდინეს აღორძინების პერიოდის ისეთმა თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ ნიკოლო მაკიაველი და გვიჩარდინი საკუთარი სიტყვებით საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაზე და უფრო გვიანდელი და მათ შორის თანამედროვე პერიოდის პოლიტიკოსების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე". - სავალდებულო სასწავლო კურსში: ,,მსოფლიო პოლიტიკა: პროცესები და ტენდენციები"- ცოდნა და გაცნობიერება - ,,**მსჯელობს** გლობალური უთანასწორობის საკითხის, გარემოს დაცვის სტანდარტებისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის დაყოფის ფენომენის შესახებ; · კრიტიკულად უდგება ისეთ მნიშვნელოვან ცნებებს, როგორებიცაა „რესურსების წყევლა", სუსტი/არშემდგარი სახელმწიფო; **აყალიბებს საკუთარ პოზიციას** თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფარგლებში დაცვის ცნების გამოყენების სფეროსა და მნიშვნელობის თაობაზე, ისევე როგორც დემოკრატიის გავრცელების მიმართ, ამ პროცესის ფარგლებში მოთამაშეების და მიმღებთა ქვეყნების კრიტიკულად შეფასებისას;". - სავალდებულო სასწავლო კურსში: ,,საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი"- ცოდნა და გაცნობიერება - ,, საგარეო პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ფაქტორების და მისი გარე და შიდა დეტერმინანტების **კრიტიკული ანალიზი** საგარეო პოლიტიკის შემუშავების პროცესში;". აუცილებელია რეფორმულირება მოხდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში. აუცილებელია რეფორმულირება მოხდეს აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები პროგრამის თვითშეფასების ანაგარიში საგანამანთლებლო პროგრამა სასწავლო კურსის სილაბუსები
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Comparative Governance and Politics შეიცვალოს თეორიისა და შემთხვევის ანალიზის ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობა; თეორიული ნაწილი შესაბამისობაში მოვიდეს შედარებითი პოლიტიკის კონცეფიასთან, სილაბუსის სწავლის შედეგებთან და სამაგისტრო სწავლების საფეხურთან; რეკომენდირებულია სასწავლო კურსში Contemporary International Law შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან და სწავლების საფეხურთან, მათ შორის სასწავლო ლიტერატურის გამდიდრების გზით აუცილებელია სასწავლო კურსში Decision-Making in International Relations გამდიდრეს სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა, მათ შორის დამატებითი საკითხავი მასალის სავალდებულო ნაწილში გადმოტანით ან/და რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მითითებით; რეკომენდირებულია სასწავლო კურსში International Security სილაბუსი მოიცავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც მულტიდისციპლინური დარგის შესავალი და უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტები. რეკომენდირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში - ,,სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია"- ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", ,,საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი", ,,მსოფლიო პოლიტიკა: პროცესები და ტენდენციები", ,,საქართველოს

საგარეო პოლიტიკის ანალიზი“ - სწავლის შედეგების (ცოდა და გაცნობიერების ნაწილიში) რეფორმულირება მათი მკაფიოობისა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო კურსში Theory of International Relations შეიცვალოს თეორიული სახელმძღვანელო Burchill, Scott, Andrew Linklater, Richard Devetak et. al. Theories of International Relations, 5th edition. New York: Pelgrave, 2013, რაც უფრო საბაკალავრო დონის სახელმძღვანელოდ მიიჩნევა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია, რაც დადასტურდა გასაუბრების საფუძველზეც, საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა აქცენტს აკეთებს ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნული უნარების განვითარება ინტეგრირებულია უმრავლეს სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტს სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე ეძლევა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარების პრაქტიკული რეალიზაციის საშუალება. საგანმანთლებლო პროგრამაში მოცემული ზოგიერთი სასწავლო კურსის ერთობლიობა, უზრუნველყოფს კვლევითი უნარების განვითარებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავალდებულო კომპონენეტებს: რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თვისობრივი კვლევის მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომი აღნიშნული კომპონენტების საკრედიტო მოცულობა და აქტივობები სავსებით საკმარისია კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გაღრმავება-განმტკიცებისათვის. სწორედ კვლევითი კომპონენტების თანმიმდევრული განხორციელებით მიიღწევა კვლევითი უნარების განვითარება სტუდენტებში, რაც პროგრამის დასკვნით ეტაპზე სამაგისტრო ნაშრომით დასტურდება. ეს უკნასკნელი ეფექტური მექანიზმია სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასებისათვის. ნაშრომზე მუშაობა სტუდენტისგან მოითხოვს ინტერდისციპლინურ და კომპლექსურ მიდგომას პრობლემის გადაწყვეტის, სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის პროცეს და მის განხორციელებას. სტუდენტს უვითარდება კრიტიკული აზროვნების, ახალი, ორიგინალური მეთოდების შემუშავებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი. როგორც სილაბუსის - სამაგისტრო ნაშრომის შესწავლამ აჩვენა მისი მიზანია განუვითაროს სტუდენტს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა დარგის უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ინოვაციური ტექნიკების გამოყენებით, კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით. სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით შესრულებისა და დაცვის შემდეგ, სტუდენტი იძენს ისეთ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და გაცნობიერებას; უნარებს; პასუხისმებლობასა და ავტონომიურობას. აღსანიშნავია რომ წინამდებარე საგანამანთლებრლო პროგრამაში ლოგიკურადაა დაგეგმილი სამეცნიერო კომპონენტი და მისი წინაპირობები, რაც

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

როგორც ინტერვიურებამ აჩვენა, დაწესებულების ადმინისტრაცია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის ახორციელებს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრები და სხვ.

პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში ხდება ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ მენტორობის უზრუნველყოფის საშუალებით, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. 2021-2022 სასწავლო წლების ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის წახალისებისათვის საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური თანამონაწილეობის უზრუნველყოფის საშუალებით. როგორც თვითშეფასების ანგარიში აღნიშნულია და ეს ინტერვიურების დროს დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროგრამა დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტს და სტუდენტებში აღნიშნული უნარების განვითარება ხდება ზოგიერთი სასწავლო კურსისა და ექსტრაკურიკულარული აქტივობების.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში;
ინტრვიუს შედეგები;
ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა;
საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
თანამშრომლობის მემორანდუმები;
სტუდენტების პროექტებში და კონფერენციებში ჩართულობის რაოდენობრივი მონაცემები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდს როგორებიცაა: ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, რომლებიც მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი, ახსნა-განმარტება, ანალიზი, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი და სხვა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ისინი, ასევე, ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება/მომზადდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა. ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას. მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის სხვა მეთოდები ცალკეულ საგანში გამოყენებულია საგნის სპეციფიკის გათვალისწინებითაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამა ინტერვიუს შედეგები პროფესორებთან, სტუდენტებთან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები საგნების სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ფოკუს-ჯგუფებთან ონლაინ შეხვედრების ჩატარების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ შზსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაში ნათლად არის გაწერილი სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები. შეფასების შესახებ ინფორმაციის მიღება სტუდენტებს შეუძლიათ როგორც კურსის სილაბუსების, ასევე აკადემიურ პერსონალთან უშუალო კომუნიკაციისა და პროგრამის ფარგლებში მოქმედი ელექტრონული სისტემის SIS-ის (sis.ibsu.edu.ge) და ელექტრონული პლატფორმის SMART-ის მეშვეობითაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალი გაცნობილია შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების წესებს და მათი დანერგვისათვის იღებს მხარდაჭერას საუნივერსიტეტო სერვისებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული ტრენინგებით, შეხვედრებითა და ინდივიდუალური/ჯგუფური კონსულტაციებით. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების წესებისა და სააპელაციო სისტემის შესახებ ასევე ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდება აკადემიურ

პერსონალს პროგრამის წარმოადგენლებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, წარმოადგენს შეფასებათა 100 ქულიან სისტემას, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით შეფასებას/გამოცდას. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსების შეფასების მეთოდები მოიცავენ ასევე შემდეგ კომპონენტებს: წერით სემინარებს და საშიანო დავალებებს, ზეპირ გამოკითხვებს, ინდივიდუალური ან ჯგუფური პრეზენტაციის მომზადებას, თემატური ესსეს მომზადებას. რიგ საგნებში სტუდენტთა მუშაობა ასევე ფასდება ჯგუფში მუშაობისას ზეპირი და წერით გამოკითხვის სხვადასხვა კომპონენტის გამოყენებით. თითოეულ კომპონენტს გაწერილი აქვს შესაბამისი შეფასების ქულა და ნათლად არის ფორმულირებული მისი წილი საბოლოო შეფასებათა ჯამში. პროგრამა ასევე მოიცავს 30 კრედიტიან სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. კერძოდ, პროგრამის დასასრულს, მეოთხე სემესტრის ბოლოს სტუდენტებმა უნდა წრმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომი, რომლის შეფასების წესი მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ორი ტიპის სამაგისტრო ნაშრომს: 1. საველე სამუშაოებზე დაფუძნებულ ნაშრომს და 2. მეორეულ წყაროებზე დაფუძნებულ ნაშრომს. მოცემული სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები მათი თავისებურებებიდან გამომდინარე განსხვავებულია, თუმცა მათი შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, სემესტრის ბოლოს, წერილობითი ფორმით წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომისა და მისი საჯარო დაცვის საფუძველზე. შეფასების მაქსიმალური ქულა შეადგენს 100. ამასთანავე როგორც ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა სამაგისტრო ნაშრომები გადიან შემოწმებას პლაგიატის არსებობაზე.

ხაზგასასმელია, რომ სტუდენტთა შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი და აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთანავე, როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ და ასევე გაცნობილნი არიან მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები საპრეტენზიო განაცხადით სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციასადმი მიმართვის გზით. ამასთანავე, როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს ჩატარების დროს გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მირებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ მათ გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. აღსანიშნავია, რომ შეფასება ისევე, როგორც უკუგება აისახება ელექტრონულ პლატფორმებზე (SIS და SMART სისტემები), რომლის მეშვეობითაც როგორც სტუდენტებს ასევე ლექტორებსა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საშუალება ეძლევათ გაეცნონ შედეგებს და გამოიყენონ მიღებული ინფორმაცია კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესები მიზნით.

საერთო ჯამში, პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, ისევე როგორც აკადემიურ პერსონალთან გასაუბრები შედეგად შეგვძლია დავასკვნათ, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების რელევანტურ ფორმებს, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებენ კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფენ აღნიშნული კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ამათანავე მოცემული პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში წარმოდგენილი სტუდენტის შეფასების პროცედურები გამჭირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან და მომიჯნავე დარგის სტუდენტებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- შზსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შზსუ-ს გამოცდების ჩატარების წესი (https://drive.google.com/file/d/1UiKB7EGBafTmNZXfJqpOtxh4C2RK0S9i/view);

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც შზსუ-ში ჩატარებული ონლაინ-ვიზიტისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს ყველა იმ საჭირო დახმარებასა და კონსულტაციას, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად, კვლევითი სამუშაოს განსახორციელებლად და სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდფამთავრებულების გამოკითხვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაგისტრანტებს მიეწოდებათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია მიმდინარე ან დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გრანტების, კვლევების და გაცვლითი პროგრამების შესახებ შზსუ-ის სოციალურ, ჰუმანიტარულ და

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეშვეობით. მოცემული პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შორის მჭიდრო კავშირს. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. როგორც ონლაინ ვიზიტისას გამოიკვეთა, მიუხედავად პანდემიური ვითარებით განპირობებული სირთულეებისა, პროგრამამ მაქსიმალურად უზრუნველყო სტუდენტებისათვის მოქნილი საკომუნიკაციო სისტემის გამართულად ფუნქციონირება, რაც გულისხმობს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სატელეფონო კომუნიკაციისა და შესაბამისი ონლანინ პლატფორმების გამოყენებით ადმინისტრაციისა და პროგრამის წარმოადგენლებთან სტუდენტის დაუბრკოლებელ კომუნიკაციას სწავლის პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით.

სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან, სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. მოცემული მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სტუდენტთა მთელი რიგი წინადადებები სასწავლო პროგრამის, ცალკეულ სილაბუსებისა თუ სასწავლო პროცესის წარმოებასთან მიმართებაში გათვალისწინებული და ასახული იქნა პროგრამის დახვეწის პროცესში. აღნიშნული კუთხით სტუდენტთა საქმიანობა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი მოტივაციის ზრდას და შესაბამისად მათ ჩართულობას სტუდენტურ კონფერენციებში, დარგობრივ შეხვედრებში და კვლევით პროექტებში. აქვე სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართულებით, ხაზგასასმელია რომ უნივერსიტეტში მოქმედებს მოქნილი ფინანსური მხარდაჭერისა მექანიზმი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს როგორც სწავლის საფასურის მოქნილ საგადასახადო სისტემას ასევე მთელ რიგ შეღავათებსა და წამახალისებელ მექანიზმებს.

ამასთანავე აღსანიშნავია პროგრამის აკადემიური პერსონალის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობების პროფესიულ დონეზე წარმოების კუთხით, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს. ეს კი თავის მხრივ, ახალ შესაძლებლობებს უქმნის სტუდენტებს მაქსიმალურად ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში, გაიარონ სტაჟირება სხვადასხვა კვლევით ცენტრებში. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან და დარგობრივ ორგანიზაციებთან (საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, საქართველოს მთავრობის კანცელარია, კავკასიური სახლი და სხვა).

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში სტუდენტთა ჩართულობის ამაღლების კუთხით, მისასალმებელია უცხო ენის შემსწავლელი მრავალფეროვანი კურსების შეტანა სასწავლო პროგრამაში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები აქვს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, რომელთან ერთადაც ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში, სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლით პროგრამებში და სხვ. სასურველია აღნიშნული შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პროგრამის ხელმძღვანელობის მიერ რათა მიეცეთ მომავალ სტუდენტებს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების, თანამედროვე მიღწევების გაცნობის, გაცვლით პროგრამებში და საგრანტო პროექტებში ჩართვის უნიკალური შესაძლებლობები. ამასთანავე სასურველია პერიოდულად მოეწყოს სამომავლოდ უცხოელი პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების ვიზიტები რათა ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით სტუდენტები გაეცნონ დარგის თეორიულ და პრაქტიკულ სიახლეები. ეს თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას ჩაერთონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ონლაინ-ვიზიტის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პერიოდულად მოეწყოს სამომავლოდ უცხოელი პროფესორებისა და დარგის სპეციალისტების ონლაინ-ვიზიტები, რათა ლექციებისა და შეხვედრების მეშვეობით სტუდენტები გაეცნონ დარგის თეორიულ და პრაქტიკულ სიახლეები. ეს თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად გაზრდის სტუდენტთა მოტივაციას ჩაერთონ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფაკულტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც. ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. თუმცა მისასალმებელი იქნება სამომავლოდ ერთობლივ კვლევით პროექტებში ხელმძღვანელთან ერთად კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობის უზრუნველყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან;
- კურსდამთავრებულთა ნაშრომები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის წარმომადგენლების მიერ, რაც ინტერნაციონალიზაციის კუთხით პროგრამის საქმიანობის გაძლიერების პროცესში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. საასურველია საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის სამეცნიერო სიახლეების გაზიარება-გაცნობის მიზნით, გააქტიურდეს პროგრამის სასწავლო-კვლევით საქმიანობაში უცხოელი მეცნიერების ჩართვა რეგულარულ საწყისებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პერსონალი, მათ შორის 8 აფილირებული აკადემიური პერსონალი (2 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 უცხოელი პერსონალი (1 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 1 მოწვეული პერსონალი). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ბოლო ხუთი წლის მანძილზე არ დაფიქსირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის კლების არც ერთი შემთხვევა (მხოლოდ ზრდადობა). მოწვეული პერსონალის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის მანძილზე დინამიკაში ასვე შეინიშნება პერსონალის რაოდენობის ზრდა.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. წარმოდგენილი 13 პერსონალიდან 11 ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, პერსონალის დიდ ნაწილს ასევე უფიქსირდება დარგის შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება (დიპლომატიური საქმიანობა, სამთავრობო სტრუქტურებში საქმიანობის გამოცდილება, არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში საქმიანობის გამოცდილება). პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურებად უნდა ჩავთვალოთ უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომებიც.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო აქტივობებსა და სამეცნიერო მუშაობაში. პერსონალის საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობას ადასტურებს როგორც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე ონლაინ სააკრედიტაციო ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

პროგრამას ჰყავს 1 ხელმძღვანელი და 1 თანახელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ჩატარებული ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
პერსონალის პირადი საქმეები
საგანმანათლებლო პროგრამა
საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. უსდ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას აფასებს უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრულად და წლიურად. კერძოდ, პროცესი ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვითა და გამოკითხვის შედეგების ანალიზით, სასწავლო პროცესის განხორციელების მონიტორინგითა (ლექციების მიმდინარეობა, ლექციებზე დაკვირვება, ელექტრონული სისტემის წარმოება (SMART, SIS), სტუდენტების აკადემიური მოსწრება, გამოცდების მონიტორინგი და ა.შ.) და შედეგების ანალიზით, პერსონალის აკადემიური/სამეცნიერო საქმიანობის შეფასებით. შემუშავებულია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ყოველწლიური შეფასების ფორმა, სადაც ქულობრივად არის გამოსახული პერსონალის სხვადასხვა აქტივობები. უსდ-ში ასევე მოქმედებს ლექციებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა (კოლეგიალური შეფასება) და წახალისებულია სილაბუსების განახლების პროცესი. უსდ ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ბოლო ორი წლის მანძილზე უსდ-მ უზრუნველყო 20 ტრენინგის ჩატარება, მათ შორის მოწვეული ტრენერების მიერ და მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, საგრანტო შესაძლებლობები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, სილაბუსი, სწავლების და შეფასების მეთოდები, განათლების თანამედროვე ტენდენციები, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებისა და პროგრამებისათვის განაცხადების მომზადება, მონაცემთა ანალიზი, პროფესიული ორიენტაცია და სხვ. უსდ-ში ასევე რეგულარულად ტარდება სხვადასხვა საჯარო ლექციები დარგობრივი თემატიკის გათვალისწინებით. უსდ ხელს უწყობს პერსონალს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე უსდ ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის. პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა ფასდება ყოველი აკადემიური წლის ბოლოს მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების (სტატია, თეზისი, ჟურნალი, წიგნები და ა.შ.) სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები და ა.შ.), სემინარებსა და პროექტებში მონაწილების, ასევე უნივერსიტეტში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებების მიხედვით. პერსონალს ხელშეკრულებით ეკისრება სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ვალდებულება და პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა ყოველწლიურად ფასდება ქულებით. სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა არის მნიშვნელოვანი კომპონენტი აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის

შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პროცესში. მოწვეულ პერსონალს ასევე შეუძლია გამოიყენოს უსდ ფინანსები სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობისთვის. უსდ-ში გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი და იბეჭდება სახელმძღვანელოები/მონოგრაფიები. უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო/კვლევითი აქტივობებისთვის (სამეცნიერო სტატიის გამოცემა, წიგნის გამოცემა, სარედაქციო მუშაობა, გრანტების მოზიდვა, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) პერსონალის მიერ უსდ ფინანსების გამოყენებისა თუ ჰონორარის მიღების დეტალური რეგულაციები. უსდ პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის დაფინანსება გარდა პროგრამის ბიუჯეტისა გათვალისწინებულია უსდ ცენტრალიზებულ ბიუჯეტშიც. უსდ-ს ასევე მოქმედებს შიდა საგრანტო სისტემა. უსდ-ს მიერ ხორციელდება ლექტორების მოწვევა ინტერდისციპლინური კვლევებისთვის. უსდ სამეცნიერო/კვლევითი პოლიტიკის ეფექტურობას ადასტურებს პერსონალის პუბლიკაციების სიმრავლე ეროვნულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და პერსონალის ჩართულობა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. საინტერესო მაჩვენებელია, რომ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა ბევრად აჭარბებს ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულ ნაშრომებს (43/13), ხოლო საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობას (21/2). პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე საერთაშორისო კვლევითი პროექტი, რომელშიც ჩართულები იყვნენ პროგრამის სტუდენტებიც.

უსდ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სამეცნიერო პროექტებისა და აქტივობების, კვლევითი ცენტრების შესახებ და განთავსებულია სამეცნიერო პროდუქტი (ჟურნალები, წიგნები, შრომები). სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის და კვლევითი ცენტრების განვითარება გათვალისწინებულია 3 წლიან სამოქმედო და 7 წლიან სტრატეგიულ გეგმებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
პროგრამის ბიუჯეტი
ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი). 2019
აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური შეფასების ფორმა
საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში
აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება, 2018
სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ანგარიში
სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებისათვის ჰონორარის მოთხოვნის ფორმა
განცხადების ფორმა სამეცნიერო ღონისძიებაზე დასწრების შესახებ
სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ყოველწლიური ანგარიშის ფორმა
აკადემიური პერსონალის ყოველწლიური შეფასების ფორმა
სამოქმედო გეგმა 2018-2021
სტრატეგიული გეგმა 2018-2025
უსდ ვებგვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს უზრუნველყოფს ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიებით, სტუდენტური სივრცეებით და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. უსდ-ში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი. უსდ ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზით და ფლობს 25 000 ერთეულამდე ბეჭდურ და 700-მდე ციფრულ რესურსს. უსდ ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში იძებნება. ონლაინ სწავლების პირობებში, საბიბლიოთეკო მომსახურება გახდა პირობებზე მორგებული - სტუდენტებს აქვთ ლიტერატურაზე და სამეცნიერო ბაზებზე (Elsevier, Cambridge) დისტანციურად წვდომის საშუალება. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს, მათ შორის, შესაძლებელია წიგნის დაჯავშნა, პარტნიორი ბიბლიოთეკებიდან მოტანა და სხვ. ონლაინ სწავლების პირობებში დაემატა ახალი სერვისი - „შეეკითხე ბიბლიოთეკარს“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტი

ბიბლიოთეკის დებულება (2017)

უსდ ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას აქვს საკუთარი ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, მიუხედავად სტუდენტთა მცირე რაოდენობისა, მიღებული შემოსავლები აჭარბებს დანახარჯს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გათვალისწინებულია თანამშრომელთა ხელფასებისთვის, სამეცნიერო და კვლევითი ხარჯებისთვის (პერსონალის, სტუდენტური), სახელმძღვანელოების შესაძენად, სტუდენტური აქტივობებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად და სხვ. პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და განაპირობებს პროგრამის მდგრადობას. გარდა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსებისა, პროგრამისთვის აუცილებელი ზოგიერთი აქტივობის დაფინანსება შესაძლებელია ცენტრალიზებული ბიუჯეტიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტი პროგრამის ბიუჯეტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანა მდგომერეობს სწავლებისა და სწავლის და მეცნიერული მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და მისი განვითარებისთვის ხელშეწყობაში. ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც განიხილება, როგორც სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესების აქტივობებს დაგეგმვას ჩატარებული კვლევებიდან მიღებული შედეგების საფუძველზე. სამსახური მუშაობს პრინციპით: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. რაც გამოიხატება შემდეგში: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მის მიერ განხორციელებულ ყველა საქმიანობაში პროცესს იწყებს შეფასებით, რის შედეგადაც ხდება არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა (დაგეგმე), შემდეგ ეტაპზე ხდება ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ნაბიჯების გადადგმა, საჭირო ცვლილებების განხორციელება (განახორციელე), მიმდინარეობს განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება და შესაბამისად გამოყენებული მექანიზმების შემოწება (შეამოწმე) და მიღებული შედეგების მიხედვით გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით საჭირო ცვლილებების განხორციელება პროცესის დახვეწის მიზნით (განავითარე). აღნიშნული პროცესი ეხება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ ყველა სახის საქმიანობას, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და უწყვეტად მიმდინარეობას. ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობაში სისტემატიზირებულია უნივერსიტეტის მუშაობის ხარისხის შეფასების, სტანდარტებისა და ეფექტური განხორციელების პროცედურები, რომლებიც ჩვეულებრივ რეგულარულად ხორციელდება. მათგან ერთ-ერთი ძირითადი - თანამშრომლობა და განვითარება - არის მთავარი საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტი აფასებს და ასახავს თავის მუშაობას, პოლიტიკას, გეგმებს და პროცესებს, აჩვენებს ანგარიშვალდებულებას, განსაზღვრავს ნებისმიერ საჭირო ცვლილებას გაუმჯობესებისათვის. ხორციელდება მონიტორინგი და იწერება ანგარიში იმისათვის, რომ შემოწმდეს, ჰქონდა თუ არა მას წინასწარ განსაზღვრული ეფექტი და როგორ აისახება შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველსემესტრულად ახორციელებს სასწავლო კურსებში სტუდენტების შეფასებების ანალიზს შეფასების ქულების გადანაწილების თვალსაზრისით ე.წ. grade distribution-ს, ამოწმებს უნივერსიტეტის ელექტრონულ smart პლატფორმაზე სასწავლო კურსებში სილაბუსების, სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისთვის, აფასებს საუნივერსიტეტო შეფასების SiS პლატფორმაზე სტუდენტების შეფასების ასახვის დროულობას. ამ სისტემის სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომაბასა და ეფექტურ მომსახურებაზე საუბრობდნენ სტუდენტებიც ინტერვიუს პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა გამარტივებული სისტემა მათთვის ინფორმაციის მიწოდების და გამოყენების მიმართებით- უსდ-ში დანერგილი ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით. სემესტრში რამდენჯერმე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ხვდება პროგრამის სტუდენტებს, ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევას, რაც დატურდება სტუდენტებთან, პერსონალთან გასაუბრებით. ყოველი წლის ბოლოს მუშავდება აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის წლიური ანგარიშები. ინტერვიუბში გამოიკვეთა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება აკადემიური პერსონალის მიერ სავალდებულო აქტივობების შესრულება(სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის მიმართულებით) მოხდება მათთვის ინდივიდუალური გარკვეული აქტივობების დაგეგმვა, ამ

ნაწილში შედეგების გაუმჯობესების მიზნით, თუმცა ასეთი შემთხვევა მათ პრაქტიკაში ჯერ არ ჰქონიათ.

სხვადასხვა კვლევების ანგარიშები, ანალიზები რეკომენდაციებით და მიგნებებით მიეწოდებათ პროგრამის ხელმძღვანელებს, დეკანებს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

მნიშვნელოვანია ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები სხვა მიმართულებებითაც. მაგალითად, ჩატარდა დისტანციური სწავლების ხარისხის კვლევა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა და აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა.

ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა. - პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიმართებით და საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენისა და გაუმჯობესების მიმზნით.

მაგალითად გამოვლინდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სილაბუსის შედგენისა და სწავლის მეთოდების განსაზღვრის ტექნიკაზე ორიენტირებული სამუშაო შეხვედრის, აკადემიური პროფილის საუნივერსიტეტო ელექტრონული პლატფორმების (SIS, SMART) უკეთ გამოყენების მიზნით ტრენინგების ჩატარების საჭიროება. და შესაბამისად ჩატარდ მათთვის ტრენინგები.

ასევე ჩატარდა შეხვედრები პერსონალისათვის კვლევითი პროექტების შემუშავების ხელშეწყობის მიზნით.

პერსონალის ხელშეწყობის მექნიზმები დასტურდება პერსონალთან გასაუბრების/ინტერვიუს პროცესშიც, სადაც მოწვეულმა ლექტრებმა ისაუბრეს სილაბუსის მომზადების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის სამსახურთან ურთიერთობებზე, ეფექტიან უკუკავშირებზე, რაც საბოლოოდ საფუძველი გახდა სილაბუსების შექმნისათვის - წარმოდგენილი სახით. სხვადასხვა მათთვის საჭირო ტრენინგებში დასწრებებთან მიმართებით.

მუდმივად მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შეფასება პროგრამის განვითარების მიზნით (სტუდენტები მუდმივად აფასებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს, სასწავლო კურსებს, ხდება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევა), რასაც ადასტურებს სტუდენტებთან გასაუბრებებიც, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ მათი ინიციატივები და სურვილები ყოველთვის გათვალისწინებულია კუსრსის წამყვანი ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელიბის მიერ.

ასევე პროგრამის განახლების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია შეფასდა ყველა დაინტერესებული მხარის: სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის,დამსაქმებლების მხრივ.

მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა პროგრამაში სათანადო ცვლილებების განხორციელება და შესაბამისად პროგრამის დახვეწა (რაც დასტურდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვით)

მაგალითად, დამსაქმებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათი რეკომენდაციით უსაფრთხოების მიმართულებით პროგრამის გაძლიერების კუთხით მიწოდებული კურსის საჭირეობის შესახებ გათვალისწინებულ იქნა და აისახა პროგრამის ახალ ვერსიაში.

ხარისხის უზრუნველყოფა და პროგრამის მართვა ხორციელდება დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასების ანგარიშები;
- ბაზრის კვლევა, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზი;
- საერთაშორისო ურთიერთობების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები.
- ინტერვიუერთა პასუხები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მიზნით პროგრამა შეფასდა პოტენციური დამსაქმებლების და ასევე დარგში დასაქმებული სპეციალისტების მიერ. შეფასების პროცესში დამსაქმებლებმა და დარგის სპეციალისტებმა შეაფასეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და სემესტრული განაწილება, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსებისთვის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი სამუშაო საათების რაოდენობა. შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა. რაც დასტურდება დამსაქმებლებთან ინტერვიუს პროცესში. უნივერსიტეტი ითვალისწინებს peer review პროცესს. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში გამოთქმულ რეკომენდაციებს. კოლეგების მიმოხილვის საფუძველზე ხორციელდება ხარისხის კონტროლი, სადაც კოლეგები აფასებენ ერთმანეთის მუშაობას, ითვალისწინებენ გამოთქმულ მოსაზრებებს და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე აყალიბებენ პროგრამის განვითარების ხედვას და მიდგომებს. აყალიბებენ ზუსტ, მიმართებებს, რაც განსაზღვრავს პროგრამის აქტუალობას და შემდგომ ეტაპზე სწორი განვითრების პრიორიტეტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები დამსაქმებლებისა და დარგის სპეციალისტების გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაციები. იტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინიტრაციასთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატური კონტროლისა და რეკომენდაციების მიცემით ახორციელებს პროგრამების ხარისხის თანდათანობით გაუმჯობესებას და მათ თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვებას.

პროგრამული შეფასებით ირკვევა: პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხორციელდება თუ არა პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი იყო;

შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტთა მიერ პროგრამების, ლექტორებისა და კურსების შეფასების კითხვარები, აკადემიური პერსონალის მუშაობის წლიური ანგარიში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შიდა შეფასებებს სულ მცირე წელიწადში ორჯერ. წელიწადში ორჯერ ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვები - მათი კმაყოფილების დადგენის და საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის შესახებ. შიდა შეფასებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე არკვევს, თუ როგორია სტუდენტთა ჩართულობა, რამდენად შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები სტანდარტებთან მიმართებაში.

სტუდენტებთან გასუბრებით დასტურდება, რომ სტუდენტისათვის ნიშნის ქულის არდაკმაყოფილების შემთხვევაში ლექტორთან ერთად ხდება განხილვა, და უკუკავშირის მიღება.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთ(ებ)ან ერთად განსაზღვრავს პროგრამისთვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებას,

სასწავლო პროცესის განხორციელება ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შერჩეული დარგის სხვა სპეციალისტის მიერ სასწავლო კურსის მსვლელობის ფარგლებში, სასწავლო კურსზე დასწრებით საჭიროების შემთხვევაში. თუ ახალი ლექტორია, დასწრება ხორციელდება სასწავლო კურსის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში. ხდება დამსწრეთა შეჯამებული მოსაზრებების, რეკომენდაციებისა და რჩევების ლექტორისთვის გაზიარება. სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს სტუდენტები ასევე განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელთ(ებ)ან ერთად.რაც დასტურდება ლექტორებთან გასაუბრებით.

ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი).

რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო კურსის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პროგრამის მონიტორინგისა და მთლიანად პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული საქმიანობის, მიღებული გამოკითხვის შედეგების, სწავლის შედეგების შეფასების და შედეგების ანალიზის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და მათთან ერთად განიხილება საჭირო ცვლილებები, რაც დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინიტრაციასთან გასაუბრებით.

აღსანიშნავია, რომ უსდს აქვს მჭიდრო კონტაქტები საერთაშორისო დონეზე, შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს მემორანდუმების ფარგლებში სტუდენტების სტაჟირებებზე გაშვება, გაცვლით პროექტებში მათი ჩართვა და სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა ამ მიმართებით. რაც შესაძლებლობას აძლევს უსდს იყოს მუდმივ ურთიერთობაში უცხოურ უნივერსიტეტებთან.

ასევე პერიოდულად ხდება (მაგალითად, პროგრამის რეაკრედიტაციის, მოდიფიცირების პროცესში) საგანმანათლებლო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);
- სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებელების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

• სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის და ლექტორების შეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვის (სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება) შედეგების ანგარიში; • ლექციის შეფასების ფორმა; • სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორი შეფასების კითხვარი; • ჩატარებული კვლევები. • ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სტუდენტების ხელშეწყობა საერთაშორისო სტაჟირებებზე, საერთაშოროსო საუკეთესო პრაქტიკის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: **საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი მანველიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გვანცა აბადალაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ფირცხელანი